აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საარჩევნო კომისიის განკარგულება

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 108

11 ნოემბრი 2008 წელი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნომბრის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 48-ე მუხლის მე-5 პუნქტის “აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ” აჭარის ავტონომიური რეპუბლიკის კანონის 64-ე მუხლის მე-3, მე-4 პუნქტებისა და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 14 დეკემბრის ხელახალ მაჟორიტარულ არჩევნებთან დაკავშირებით საარჩევნო სუბიექტების მიერ გამოყენებული სახსრების ანგარიშის მონიტორინგს ახორციელებს უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 08 სექტემბრის №40 განკარგულებით შექმნილი ფინანსური მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ხელმძღვანელობს უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 11 სექტემბრის №49 განკარგულებით დამტკიცებული დებულებით.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე

კომისიის მდივანი ქ. ჯიქია